საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

ბოცვრის ტყავბეწვეულის ხარისხზე მოქმედი ფაქტორები

(რეკომენდაცია)

თბილისი
2021

UDC უდკ 636.92.035+675.031.8
გ - 927

რეკომენდაციის ავტორები:

ჯემალ გუგუშვილი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ქეთევან ჭიპაშვილი - წამყვანი სპეციალისტი.

რეცენზენტი:

გიული გოგოლი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რედაქტორი:

ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; სსმმ აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“

ISBN 978-9941-8-37229-6

ბოცვრის ტყავბეწვეულის ხარისხზე მოქმედი ფაქტორები

ბოცვრის ტყავბეწვეულის ხარისხი (ღირებულება) დამოკიდებულია მათ ჯიშურობაზე, კვებისა და შენახვის პირობებზე, დაკვლის დროზე, ტყავის სწორ გაძრობაზე და პირველად დამუშავებაზე, შენახვაზე და სხვა. ,,ტყავის ხარისხში“ შედის სხვადასხვა სასაქონლო თვისებების ერთიანობა, ისეთი, როგორიცაა სიდიდე, დეფექტი (მანკი) ხარისხი, გამძლეობა, ტყავის სისქე, ბეწვის სიხშირე და გამოთანაბრება, შეფერილობა გარეგანი შეხედულება და სხვა. ამიტომ ბოცვრის გამოზრდის დროს მეურნეობაში, რომ მივიღოთ მაღალხარისხოვანი ტყავბეწვეული, საჭიროა შემდეგი ოთხი პირობა: 1) საჯიშედ უნდა შეირჩეს ჯიშიანი ცხოველი ტიპიური შეფერილობით, ხშირი და გამოთანაბრებული ხშირსაფარიანი ბეწვით; 2) ტყავბეწვეულისათვის მოგებას აწარმოებენ იმ ანგარიშით, რომ დაიკლას განგურის შემდეგ, ნოემბერ-მარტში . 3) ტყავბეწვეულისათვის გამოსაზრდელი ,მოზარდის კვებისა და მოვლის პირობები უნდა პასუხობდეს ცხოველის მოთხოვნილებას; 4) მკაცრად უნდა იყოს დაცული ტყავბეწვეულის დამუშავების წესი და შენახვის პირობები.

სხვადასხვა ჯიშის ბოცვრებს განსხვავებული სისქის ბეწვის საფარველი აქვთ. მაგალითად, შავად - რუხი ბოცვერი, საბჭოთა მარდერი, საბჭოთა შინშილა, თეთრი გოლიათ, ვენური ცისფერი, ვერცხლისფერი ხასიათდება შედარებით ხშირი საფარით. ამიტომ ტყავბეწვეულისათვის ამ ჯიშების მოზარდი ბოცვერი უნდა დაიკლას. რუხი გოლიათის ჯიშის ბოცვერს ახასიათებს მნიშვნელოვნად ნაკლები სიხშირის ბეწვის საფარველი, მაგრამ გვხვდება ძალიან ხშირბეწვიანიც. ამ ჯიშის მოშენებისას ძალიან მოკლე დროში შეიძლება შეიქმნას ხშირბეწვიანი ბოცვრის ფარა, თუ ვაწარმოებთ თხელბეწვიანი ბოცვრების მკაცრ წუნდებას და მათ დავაგრილებთ ხშირბეწვიანი მწარმოებლით. თუ ფერმაში გვყავს უჯიშო თხელბეწვიანი ბოცვერი, მაშინ უნდა ვიყიდოთ ხშირბეწვიანი მსხვილი ჯიშის მამალი ბოცვერი და გამოვიყენოთ იგი ოთხი-ხუთი თაობის მანძილზე - თითოეული თაობიდან სანაშენედ ავარჩიოთ ყველაზე უფრო ხშირბეწვიანი ცხოველები.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბოცვერს სხეულის სხვადასვა ადგილზე სხვადასხვა სიხშირის ბეწვი აქვს. ამიტომ მწარმოებლად უნდა გამოვიყენოთ ისეთი ბოცვერი, რომელსაც გავაზე, წელზე, გვერდებზე ხშირი გამოთანაბრებული ბეწვი აქვს და სანაშენედ ასეთი მოზარდი უნდა ავირჩიოთ.

დიდი მოცულობის ტყავი მიიღება მხოლოდ მსხვილი ბოცვრიდან. ამიტომ შემდგომში სანაშენედ უნდა დავტოვოთ ისეთი მოზარდები, რომლებსაც დაკვლის დროს დიდი ცოცხალი მასა და ჯიშისათვის დამახასიათებელი ბეწვის შეფერილობა აქვს.

ბოცვრის დაკვლისას ითვალისწინებენ განგურს (გაღვრევა) და წლის დროს. რბილი, ხშირი და მბზინავი მაღალხარისხოვანი ტყავბეწვეულის მიღება განგურის შემდეგ, ნოემბრიდან მარტამდე დაკვლისას. ზაფხულის პერიოდში დაკლული ბოცვრიდან მიიღება მესამე ხარისხსის ტყავბეწვეული, იშვიათად მეორე, ისეთი ცხოველებისაგანაც კი, რომელთაც ამ დროს განგური მოთავებული აქვთ, რადგან ბოცვრის საფარველი ზაფხულობით თხელია. თუ ბოცვერი განგურის მიმდინარეობის პროცესში დაიკლა, მიიღება ცუდი ხარისხის, ბუნდოვანი, სიგრძით და სიხშირით გამოუთანაბრებელი ტყავბეწვეული. ასეთი ტყავი არ არის მტკიცე, მალე ცვდება. იმისათვის, რომ მივიღოთ მაღალხარისხოვანი ტყავბეწვეული ბოცვერი უნდა დაიკლას შერჩევით, განსაკუთრებით მოზარდი, რათა არ დავუშვათ ისეთი ცხოველების დაკვლა, რომელთაც განგური აქვთ.

განგური არის ბეწვის საფარველის შეცვლა, რომელიც დამოკიდებულია ბოცვრის ასაკზე და წლის სეზონზე. ბოცვრის განგურის სტადიას განსაზღვრავს ბეწვის ფერადი საფარველის მუქი პიგმენტაციის ტყავის ნაწილებზე ახალი ბეწვის ამოსვლა, რომელიც კარგად ჩანს ცხოველის სხეულის სხვადასხვა ადგილზე, თუ ბეწვს ზრდის მიმართულების საწინააღმდეგოდ შევუბერავთ.

თეთრი ბოცვრის განგურს განსაზღვრავენ ახალი ბეწვის ამოსვლით და სიმაგრით, რასაც ამოწმებენ სხეულის სხვადასხვა ადგილზე ხელის მსუბუქი მოკიდებით გრძელ ბეწვზე. თუ ბეწვი ადვილად ძვრება, ეს იმას ნიშნავს, რომ ბოცვერი განგურის სტადიაშია.
განგური ხორციელდება დიფუზიურად, ალაგ - ალაგ ზონალურად. დიფუზიური განგურის დროს ბეწვი სცვივა მთელ სხეულზე და ასევე მთელ სხეულზე ამოდის , განსაკუთრებით ძირითადი ბეწვი, ერთი მიმართულებით. ზონალური განგურის დროს ბეწვი იცვლება სიმეტრიულად, იწყება განსაზღვრულ ზონაში და შემდეგ გადადის სხვაზე. ალაგ-ალაგ განგურის დროს ბეწვის ცვენა ტყავის ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის.
გარდა აღნიშნულისა მოზარდი ბოცვრის ასაკის მიხედვით განგურს ახასიათებს თავისებურება, ხოლო ზრდასრული ბოცვრის განგურს-სეზონურობა.

ზრდასრულ ბოცვერს გაზაფხულის განგური ეწოდება მარტის ბოლოს ან აპრილის დასაწყისში, შემოდგომით კი დაახლოებით სექტემბერ-ოქტომბერში. განგურის შემდეგ ეზრდება ხშირი, რბილი მბზინავი და მაგარი ბეწვის საფარველი. ნოემბრის თვეში მთავრდება ზამთრისათვის შებუსვა, რასაც ინარჩუნებს აპრილის თვემდე. მოზრდილი ბოცვრის ამ პერიოდში დაკვლით ღებულობენ პირველი ხარისხის ტყავბეწვეულს. სხვა დროს დაკლულიდან არ მიიღება მეორე ხარისხზე მეტი.

მოზარდის განგური უფრო რთულად მიმდინარეობს, რადგან ამ შემთხვევაში მოქმედებს წლის დროც და ასაკიც. მოზარდი ბოცვრის ბეწვის საფარველი ფორმირდება დაბადებიდან ერთი თვის ასაკში და მაშინვე იწყება განგური, რომელიც 90-105 დღე გრძელდება. განგური ერთდროულად იწყება დრუნჩის წვერზე, თათებზე, კუდზე, ყელს ქვემოთ და მუცელზე, შემდეგ გადადის გავასა და წელზე, ვრცელდება გვერდებზე და

მთავრდება ყურებზე და ბარძაყებზე. დედლებს და მამლებს განგური ერთი და იგივე დროს აქვთ.

მეორე განგური იწყება დაახლოებით 135 დღის ასაკიდან და მიმდინარეობს ისევე, როგორც პირველი. მთავრდება 7-7,5 თვის ასაკში. ბეწვის საფარველი ღებულობს მოზრდილი ბოცვრის ბეწვის სახეს.

პირველი და მეორე განგურის შუა პერიოდში მოზარდის დაკვლა შეიძლება ტყავბეწვეულისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ თუ პირველი და მეორე განგურის შუა პერიოდი (ინტერფაზა) ზაფხულს ემთხვევა, ტყავბეწვეული შეიძლება მივიღოთ არა უმეტეს მეორე ხარისხის. შემოდგომი და ზამთრის პერიოდში დაკლული ბოცვრის ტყავბეწვეული ძირითადად პირველი ხარისხისაა.

ცალკეული ბოცვრის განგური ძლიერ მერყეობს, ამიტომ ცხოველის დაკვლა ბეწვისათვის შერჩევით უნდა მოვახდინოთ.

აუცილებელია გვახსოვდეს, რომ ბოცვრის დაკვლა ბეწვისათვის, შეიძლება განგურის დასრულებიდან ერთი-ორი კვირის განმავლობაში. ამიტომ მასიური დაკვლის წინ (ორი კვირით ადრე) უნდა დავიწყოთ დათვალიერება კვირაში ერთხელ (უკეთესია ორჯერ), რომ დავადგინოთ განგურის დამთავრება სხეულის მნიშვნელოვან ნაწილზე - ზურგზე და გვერდებზე.

ბოცვრის მოშენების დროს უნდა გავითვალისწინოთ საქმის ეკონომიური მხარე, განვსაზღვროთ ბეწვისათვის მოზარდის დაკვლის ვადა და შესაბამისად დავგეგმოთ მათი დაგრილება. მაგალითად, წლის დასაწყისში დაბადებული მოზარდი მიზანშეწონილია გამოიზარდოს შემოდგომამდე, როდესაც მათგან მაღალხარისხოვანი ბეწვეულის მიღება იქნება შესაძლებელი. მათი შემდგომი გაჩერება გამოიწვევს საკვების გადახარჯვას. ზრდასთან ერთად დაკარგავს ხორცის საგემოვნო თვისებებს. ასეთი მოზარდი უმჯობესია გამოვიყენოთ სულადობის შესაცვლელად სანაშენოდ სარეალიზაციოდ

გაზაფხულზე დაბადებული ბოცვრის მოზარდი მიზანშეწონილია დაიკლას ტყავბეწვეულისათვის 6 თვის ასაკში, ხოლო ზაფხულისა და შემოდგომის მოგების - 4-5 თვის ასაკში.

მაღალხარისხოვანი ბეწვის მისაღებად ბოცვრის მოსაშენებლად და მოზარდის გამოსაზრდელად შეიძლება გამოვიყენოთ დაგრილების, მოგების და რეალიზაციის კალენდარი, რომელიც შედგენილია ისე, რომ ბოცვრის დაკვლა ხდება განგურის დამთავრების შემდეგ.

ბოცვრის მოგების, დაგრილების და რეალიზაციის კალენდარი

ცხრილი 1.

მოგების დრო	მოგების თარიღი	ბაჭიების ასხლეტის თარიღი	რეალიზაცია (დრო დ ასაკი)
20/I	*20/II*	*28/III*	*საუკეთესო მოზარდს ტოვებენ სარემონტოდ,დანარჩენები 3-4 თვის ასაკში გაიყიდება სანაშენედ ან დაიკვლება ხორცისა და ბეწვისათვის 4,5 თვის ასაკში.*
1/IV	*1/V*	*8/VI*	*დაიკვლება შერჩევით ტყავბეწვეული-სათვის 1 ნოემბრიდან, 6 თვის ასაკში.*
10/VI	*10/VII*	*18/VIII*	*დაიკვლება შერჩევით ტყავბეწვეული-სათვის 10 ნოემბრიდან, 5 თვის ასაკში.*
20/VIII	*20/IX*	*5/XI*	*დაიკვლება შერჩევით ტყავბეწვეული-სათვის მეორე წლის თებერვალში, დაახლოებით 5 თვის ასაკში.*

ამრიგად ცხრილში 1 მოტანილი ბოლო სამი მოგების ბოცვრის მოზარდიდან შეიძლება მივიღოთ პირველი ხარისხის ტყავბეწვეული.

ბოცვრის განგურზე (ბეწვის შეცვლაზე) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კვებისა და შენახვის (ჰაერის ტემპერატურა, დღის სინათლის ხანგრძლივობა, გალიაში ჩასმის სიმჭიდროვე) პირობები და ცხოველის ჯანმრთელობა. ბოცვრის კვების დროს უნდა დავიცვათ ბოცვრის კვებაში მოცემული რეკომენდაციები. უნდა ვიცოდეთ, რომ ავადმყოფი და გამხდარი ბოცვერი განგურს აფერხებს ან სრულიად წყვეტს. ჯანმრთელ და კარგად განვითარებულ ცხოველებში კი მიმდინარეობს შედარებით 4,5 თვის ასაკში სწრაფად.

მაღალხარისხოვანი ტყავბეწვეულის მისაღებად 5-6 სული მოზარდი 3 თვემდე შეიძლება შევინახოთ ჯგუფურად გალიაში, რომელშიც ერთ სულზე გათვალისწინებული იქნება 0,1-0,2 მ^2 ფართობი. 3 თვის შემდეგ მამალი მოზარდის შენახვა ჯგუფურად არ შეიძლება, რადგანაც ამ ასაკში ისინი აგრესიულები ხდებიან და ხშირად ჩხუბობენ ერთმანეთში, რაც ტყავბეწვეულის დაზიანებას იწვევს. ამიტომ 3 თვის შემდეგ თითოეული მამალი მოზარდი ცალკე გალიაში უმდა შევინახოთ ან დავკლათ.